ბრძანება

N 04/122

122-01-4-202008211600

21/08/2020

სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა“ (ს/კ 211328703) და შპს „გნ კოს“ (ს/კ 204964887) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-11[1] მუხლის მე-3 პუნქტის, მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის და სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა“ (ს/კ 211328703) და შპს „გნ კოს“ (ს/კ 204964887) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, თანდართული სახით.

2. სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ (ს/კ 211328703) მიერ შპს „გნ კოს“ (ს/კ 204964887) 40% წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს.

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით გადაეგზავნოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი N6).

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ და შპს „გნ კოს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციის სააგენტოში, 2020 წლის 7 აგვისტოს N01/402 წერილით წარმოდგენილ იქნა შეტყობინება ეკონომიკური აგენტების - სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ (ს/კ 211328703) და შპს „გნ კოს“ (ს/კ 204964887) მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ.

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ზოგად ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი, უახლოესი ერთი წლის გეგმა, მონაწილე სუბიექტთა მახასიათებლები, კონცენტრაციის დეტალური აღწერა - ბაზრის საზღვრები, მეთოდი, რომლითაც იხელმძღვანელეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას, უახლოესი 12 თვის ეკონომიკური და ბიზნეს გეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, ინფორმაცია კონცენტრაციის შესაძლო დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ.

შეტყობინებას თან ახლდა დანართები:

- ✓ სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი შემოსავლების სამსახურიდან;
- ✓ შპს „გნ კოს“ შესახებ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ✓ ინფორმაცია სსიპ ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ სტრუქტურის შესახებ და მასთან არსებული კლინიკების ნუსხა, დიაგრამის სახით;
- ✓ ინფორმაცია სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ მიერ წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობის შესახებ, ასორტიმენტის მიხედვით;
- ✓ სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ ძირითადი მომწოდებლებისა და შემსყიდველების/მომხმარებლების ნუსხა;
- ✓ ინფორმაცია სს „ევექსის ჰოსპიტლების“ (ს/კ 404476205) წილობრივი მონაწილეობის შესახებ სხვა საწარმოებში/იურიდიულ პირებში, დიაგრამის სახით;
- ✓ ინფორმაცია შპს „გნ კოს“ და მისი შვილობილი კომპანიების 2019 წლის განმავლობაში წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობის შესახებ, ასორტიმენტის მიხედვით;
- ✓ შპს „გნ კოს“ და მისი შვილობილი კომპანიების ძირითადი მომწოდებლებისა და შემსყიდველების/მომხმარებლების ნუსხა;
- ✓ სამედიცინო დაწესებულებათა ნუსხა (გაცხადებული შერწყმისთვის შესაბამის ბაზარზე მოქმედი კონკურენტების), საწოლ ფონდების მითითებით.

შეტყობინების მიხედვით, სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის, სამეცნიერო კვლევებისა და სამედიცინო-კლინიკური საქმიანობის წარმართვა, ხოლო შპს „გნ კო“ წარმოადგენს შპს ,,მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკის“ (ს/კ 211385767) 100%-იანი წილის მესაკუთრეს, რომელიც არის რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება.

კონცენტრაციის ფორმა არის შეძენა - საკუთრების ან კონტროლის უფლების მოპოვება ეკონომიკურ აგენტზე ან მის ნაწილზე მის კაპიტალში წილის შესყიდვის, მმართველობით ორგანოებში საკუთარი წარმომადგენლების დანიშვნის ან ეფექტური კონტროლის სხვაგვარად მოპოვების გზით. დეტალურად კი - შესაბამისი გარიგების საფუძველზე, კონკურენციის სააგენტოს თანხმობის მოპოვების პირობით, სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“, როგორც მყიდველი, სს „ევექსის ჰოსპიტლებისგან“ (ს/კ 404476205), როგორც გამყიდველისგან შეიძენს შპს „გნ კოს“ წილთა 40%-ს. შპს „გნ კო“, თავის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკის“ (ს/კ 211385767) 100%-იანი წილის მესაკუთრეს.

კონცენტრაციის მიზანი: სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ მიერ ზემოაღნიშნული წილის შეძენის მიზანია შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკის“ პოზიციონირება საუნივერსიტეტო კლინიკად; კლინიკის ტერიტორიაზე უწყვეტი (24 საათის განმავლობაში), მაღალხარისხიანი სწავლებისა და კვლევის პროცესის წარმართვა; სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ 12-13 კლინიკური დეპარტამენტის განთავსება კლინიკის ტერიტორიაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს, როგორც თითოეული დეპარტამენტის ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფას, ასევე, ამ დეპარტამენტებში შესაბამისი საჭიროებისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის დასაქმებას და მათთვის სათანადო შრომითი პირობების შექმნას და შესაბამისად, უწყვეტი სწავლების პროცესის წარმართვას.

კონცენტრაციიდან გამომდინარე, **უახლოესი ერთი წლის გეგმას** წარმოადგენს კლინიკის ტერიტორიაზე უწყვეტი (24 საათის განმავლობაში), მაღალხარისხიანი სწავლებისა და კვლევის პროცესის წარმართვა; სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ 12-13 კლინიკური დეპარტამენტის განთავსება კლინიკის ტერიტორიაზე; უწყვეტი სწავლების და კვლევის პროცესის უზრუნველყოფისა და მისი შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, დეპარტამენტებში შესაბამისი საჭიროებისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის დასაქმება და მათთვის სათანადო შრომითი პირობების შექმნა.

რაც შეეხება დაგეგმილი კონცენტრაციის მხარეებს:

- სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“ (ს/კ 211328703) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის, სამეცნიერო კვლევებისა და სამედიცინო-კლინიკური საქმიანობის წარმართვა. იგი ახორციელებს აკადემიური

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიულ - საგანმანათლებლო პროგრამებს, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სარეზიდენტო პროგრამებს. **სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან“ რაიმე ფორმით დაკავშირებულია შემდეგი კლინიკები:** პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა; გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა, N1 სტომატოლოგიური კლინიკა, N2 სტომატოლოგიური კლინიკა. **გაცხადებული შერწყმისთვის შესაბამის ბაზარზე მოქმედებენ:** პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა; გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა (დედათა და ბავშვთა); აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა; N1 სტომატოლოგიური კლინიკა; N2 სტომატოლოგიური კლინიკა. სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს“ ბოლო 3 წლის განმავლობაში კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან წილი არ შეუძენია.

- შპს „გნ კოს“ (ს/კ 204964887) კაპიტალში არსებულ პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა შემდეგია: სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (ს/კ 404476205) და ფ/პ გიორგი ინგოროყვა (პ/ნ 01024002808). სს „ევექსის ჰოსპიტლები“ და ფ/პ გიორგი ინგოროყვა ფლობენ თითოეული 50%-იან წილს. **შპს „გნ კოსთან“ რაიმე ფორმით დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები:** შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“ (ს/კ 211385767) - შპს „გნ კოს“ წილი - 100%; შპს „ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი“ (ს/კ 406034937) - შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკის“ წილი - 80%. სს „ევექსის ჰოსპიტლების“ საკუთრებაში/მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულებები: ა(ა)იპ „ევექსის სასწავლო ცენტრი“ (ს/კ 412695294) – 100%, შპს „ახალი კლინიკა“ (ს/კ 404980231) – 100%, შპს „ევექს-ლოჯოსტიკა“ (ს/კ 405085161) - 100%, სს „ემერჯენსი სერვისი“ (ს/კ 401984965) – 85%, შპს „პათჯეო - პათოლოგანატომთა გაერთიანება” (ს/კ 409434018), შპს ,,გნ კო'' (ს/კ 204964887) – 50%, შპს „აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი“ (ს/კ 212841424) – 67%, სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი (ს/კ 212674738) – 67%, შპს „N5 კლინიკური საავადმყოფო“ (ს/კ 200010674) – 35%, ა(ა)იპ „ჯანდაცვის ასოციაცია“ (ს/კ 405142689) – 25%, სს „პედიატრი“ (ს/კ 200104840) – 100%, შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“ (ს/კ 404925747) – 99.8%; ა(ა)იპ “საქართველოს სამედიცინო ტურიზმის საბჭო” (ს/კ 405335221) – 14.2857%. **გაცხადებული კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედებს** შპს ,,მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“ (ს/კ 211385767). შპს „გნ კოს“ ბოლო 3 წლის განმავლობაში კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან წილი არ შეუძენია.

კონცენტრაციის მონაწილე მხარეების პოზიციით, კონცენტრაციას დადებითი გავლენა ექნება ბაზარზე, რაც აღწერილია კონცენტრაციის მიზანში, უახლოესი 12 თვის ეკონომიკურ და ბიზნეს გეგმებში და სავარაუდო შედეგებში.

შეტყობინებით დამატებით წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომ კონცენტრაციის შედეგად სს „ევექსის ჰოსპიტლები“ შეინარჩუნებს შპს „გნ კოს“ წილთა 10%-ს, თუმცა, ამ წილის ფლობის პირობებშიც, მას არ ექნება კონტროლის უფლება ან წესდებით გათვალისწინებული რაიმე სხვა განსაკუთრებული უფლებები, რაც რაიმე სახით მისცემს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს შპს „გნ კოს“ მმართველობით პროცესში.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

წარმოდგენილი შეტყობინება მიჩნეულ იქნა დასაშვებად როგორც ფორმალურად, ასევე მატერიალურად.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N04/156 ბრძანებით და სხვა.

კონკურენციის სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებასა და შეფასებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-11[1] მუხლების მოთხოვნებს:

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებში მოცემულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო კანონის მე-11[1] მუხლის თანახმად, სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტის/აგენტების (გარდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა) როგორც

ინდივიდუალური, ისე ერთობლივი აქტივების ღირებულება ან წლიური ბრუნვა (კონცენტრაციის წინა ფინანსური წლის მონაცემებით) საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით“ დადგენილ ზღვრულ ოდენობას;

2. კანონის მე-11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია 1 თვის ვადაში განიხილოს შეტყობინება და აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირისა. დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ითვლება;
3. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
4. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტები აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

   ა) ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;

   ბ) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება 10 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ღირებულება აღემატება 4 მილიონ ლარს.

5. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 და N30/09-3 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.
6. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია „საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას“. ამავე კანონის 32-ე მუხლის თანახმად, ასევე დადგენილია სანქცია სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის

წარმოუდგენლობისათვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნორმები უკავშირდება სააგენტოს მიერ მოკვლევის პროცესში გამოთხოვილ ინფორმაციას და არ გულისხმობს კონცენტრაციის თაობაზე შემოსული შეტყობინების განხილვისას ეკონომიკური აგენტის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას. შესაბამისად, ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა არ არის იმპერატიული და სააგენტო არ არის უფლებამოსილი, შესაბამისი ბაზრის სუბიექტისგან გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისას, მათ მიმართ გამოიყენოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია.

III. დადგენილი გარემოებები - ბაზრის ანალიზი

<u>ბაზრის პროდუქციული საზღვრები:</u>

,,ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების'' მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. საქონლის პროდუქციული საზღვრები დადგინდება ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხის გათვალისწინებით.

კონცენტრაციის ფარგლებში და მისი შეფასების მიზნებისთვის, სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულ იქნა სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი კონცენტრაციის მთავარი მიზანია შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკის“ პოზიციონირება საუნივერსიტეტო კლინიკად (სადაც განთავსდება სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ 12-13 კლინიკური დეპარტამენტი), რომელიც ახორციელებს, როგორც **სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ მომსახურებას.**

<u>ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები:</u>

,,ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების'' მე-10 მუხლის თანახმად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის შემსყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

სააგენტოში შემოსული შეტყობინების ფარგლებში მოსალოდნელი კონცენტრაციისთვის, ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა **ქ. თბილისი**, იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურების მიწოდება ხორციელდება ქ. თბილისის მასშტაბით.

<u>ბაზრის დროითი ჩარჩო:</u>

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-12 მუხლის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც

ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

განსახილველ შემთხვევაში, ბაზარზე მომსახურების მიწოდება ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, შესაბამისად ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

<u>ბაზრის მოცულობა:</u>

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-15 მუხლის (შესაბამისი ბაზრის მოცულობის განსაზღვრა) 1-ლი პუნქტის მიხედვით: *„ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას“*. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „შესაბამისი ბაზრის მოცულობა განისაზღვრება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით“.

განსახილველ შემთხვევაში, ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების გათვალისწინებით, ბაზრის მოცულობა შეადგენს სამედიცინო დაწესებულებების მიერ სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების მიწოდების შედეგად მიღებულ შემოსავალს. სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლის შესახებ ინდივიდუალური/კომპანიების დონეზე არსებული მონაცემების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებიდან. თუმცა, კონცენტრაციის განხილვისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადისა და კონცენტრაციის ფარგლებში ეკონომიკური აგენტების მიერ ინფორმაციის მოუწოდებლობის შემთხვევაში სანქცირების მექანიზმის არ არსებობის გათვალისწინებით, ინფორმაციის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებიდან სრულად მიღება სააგენტომ კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების პირობებში შეუძლებლად ჩათვალა.

ამასთან კონცენტრაციის წარმოდგენილი შეტყობინებით სს „ევექსის ჰოსპიტლებს“, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვანი წილის მფლობელს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაში, არ ექნება შპს „გნ კოში“ კონტროლის ან წესდებით გათვალისწინებული სხვა განსაკუთრებული უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე კონცენტრაციის შეფასების მეთოდოლოგიით ბაზრის მსხვილ მოთამაშეს სს „ევექსის ჰოსპიტლებს“ აკლდება შპს „გნ კო“ და მასთან დაკავშირებული მეწარმე სუბიექტების შემოსავლების მოცულობა, რაც ქმნის შესაბამის სასაქონლო ბაზარზე კონცენტრაციის შემცირების მოცემულობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ, ბაზრის მოცულობის, კომპანიების წილობრივი განაწილებისა და ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის გამოსათვლელად, გამოყენებულ იქნა 2019 წელს (წინა ფინანსური წელი) მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაწეული სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების

სანაცვლოდ გადარიცხული თანხები.[1] შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოირკვა შემდეგი: 2019 წელს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების მიწოდების ბაზრის მოცულობა შეადგენდა 824 754 170 ლარს. ბაზრის კონცენტრაციის - ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსმა შეადგინა 248.7 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. სააგენტოში წარმოდგენილი შეტყობინებით დაგეგმილი კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში, ბაზრის კონცენტრაციის - ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი მცირდება და შეადგენს 241.2 ერთეულს.

დამატებით, სააგენტომ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის გამოთვლა განახორციელა სტაციონალური მომსახურების ბაზარზე საწოლ-ფონდების რაოდენობის გათვალისწინებით. შედეგად გამოირკვა, რომ 2019 წელს, ქ. თბილისის მასშტაბით, საწოლ-ფონდების საერთო რაოდენობა შეადგენდა 7 189 ერთეულ, ხოლო ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი 788.67 ერთეულს. შეტყობინებით დაგეგმილი კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში, განსახილველი ინდიკატორის გათვალისწინებით, ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი მცირდება და შეადგენს 654.89 ერთეულს.

საბოლოოდ, როგორც მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში არსებული მონაცემებით, ასევე საწოლ-ფონდების რაოდენობის გათვალისწინებით ბაზრის კონცენტრაციის გამოთვლის შედეგად, ბაზარი დაბალკონცეტრირებულია და შეტყობინებით განსაზღვრული კონცენტრაცია - განხორციელების შემთხვევაში კონცენტრაციის მაჩვენებელს (HHI) კიდევ უფრო ამცირებს.

IV. სააგენტოს დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მიიჩნია, რომ სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ (ს/კ 211328703) მიერ შპს „გნ კოს“ (ს/კ 204964887) წილის შეძენით განსახორციელებელი კონცენტრაცია თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად. კერძოდ, ბაზარი, სადაც ადგილი აქვს კონცენტრაციას, ბაზრის მახასიათებლების (HHI ინდექსი) მიხედვით დაბალკონცენტრირებულია, ხოლო კონცენტრაციის შედეგად აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირდება.

[1] სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ 2020 წლის 18 აგვისტოს N01/419 წერილით მიღებული ინფორმაცია.